

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.01.2023

### ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში 2022 წლის დეკემბერი

ექსპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0.5 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ფასების 3.2 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ექსპორტის ფასების ინდექსი შემცირდა 14.3 პროცენტით. სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე ფასები შემცირდა 19.8 პროცენტით, დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე 13.2 პროცენტით, ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და კონდიციონირებული ჰაერის ჯგუფზე 6.0 პროცენტით, ხოლო წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე დაფიქსირდა ფასების 7.7 პროცენტიანი კლება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის დეკემბერში ექსპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:


კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2021 წლის დეკემბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	<b>სულ</b>	<b>85.7</b>	<b>-14.30</b>
<b>B</b>	<b>სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია</b>	<b>80.2</b>	<b>-3.70</b>
07	ლითონის მადნები	78.0	-3.82
<b>C</b>	<b>დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია</b>	<b>86.8</b>	<b>-10.44</b>
11	სასმელები	86.2	-4.16
24	ძირითადი ლითონები	81.7	-3.29
<b>D</b>	<b>ელექტროენერჯია, აირი, ორთქლი და კონდიციონირებული ჰაერი</b>	<b>94.0</b>	<b>-0.02</b>
<b>E</b>	<b>წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით</b>	<b>92.3</b>	<b>-0.15</b>

\* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.01.2023

### ქვეყნის ფასების ინდექსი (წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



#### საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: [gtetrauli@geostat.ge](mailto:gtetrauli@geostat.ge)

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: [mkavelashvili@geostat.ge](mailto:mkavelashvili@geostat.ge)